წლიური ანგარიში

2020

სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი
ქეთევან წამებულის გამზირი 96
0144 თბილისი, საქართველო

ტელ: +995 32 2 054 154
www.sai.ge

1. სერტიფიცირების და ტრენინგების მიმართულება

შესავალი

მსოფლიოში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, პანდემიის გავრცელების მაქსიმალური პრევენციის მიზნით, 2020 წლის მარტიდან საჯარო აუდიტის ინსტიტუტი მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა. საგანმანათლებლო პროგრამები და ტრენინგები, ისევე როგორც საქმიანი შეხვედრების უმეტესობა, Zoom-ის აპლიკაციის დახმარებით ონლაინ ხორციელდებოდა.

1.1 სერტიფიცირების / ტრენინგების დაგეგმვა და განხორციელება

2020 წელს სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ დაგეგმილ სასწავლო ღონისძიებებსა და ტრენინგებში სულ მონაწილეობა მიიღო 727[1]-მა პირმა.

საცალო და კორპორატიული ტრენინგები

ტრენინგის დასახელება	ჯგუფების რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა	აუდიტორია - მონაწილე
სახელმწიფო შესყიდვები	2	29	საჯარო/კერძო სექტორი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური
რისკების მართვა სახელმწიფო შესყიდვებში	2	36	საჯარო/კერძო სექტორი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური
მონაცემთა ვიზუალიზაცია	1	12	საჯარო/კერძო სექტორი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური
საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS)	2	44	საჯარო/კერძო სექტორი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საჯარო აუდიტის ინსტიტუტი
გუნდური შეჭიდულობა, ლიდერობა და გუნდის მართვა	1	20	რუსთავის მერიის თანამშრომლები (გასვლითი ტრენინგი)
ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკული მხარე HR-ებისთვის	1	12	საჯარო/კერძო სექტორი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საჯარო აუდიტის ინსტიტუტი
რისკზე ორიენტირებული შიდა აუდიტი	1	16	საჯარო/კერძო სექტორი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური

[1] მათ შორის იყო 178 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომელი.

რისკზე ორიენტირებული შიდა აუდიტი - GIZ-ის პროექტი	5	76	მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები
შიდა აუდიტი მუნიციპალიტეტებისთვის	3	42	მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები
ფინანსური აუდიტი	1	13	საჯარო/კერძო სექტორი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური
პროცესების აღწერა	1	23	სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა	1	13	სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საჯარო აუდიტის ინსტიტუტი
Excel Upper Intermediate	2	19	საქართველოს პარლამენტის აპარატი, სსიპ - დელტა
მონაცემთა ვიზუალიზაცია	1	12	საჯარო/კერძო სექტორი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური
მოხელის მენეჯერული უნარები	5	73	საჯარო/კერძო სექტორი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური
პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი	11	169	საჯარო სექტორი/ სახელმწიფო აუდიტის სამსახური
სფეროს ტრენინგები (GIZ)	1	32	სახელმწიფო აუდიტის სამსახური
საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სასერტიფიკაციო კურსი	3	62	საჯარო/კერძო სექტორი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური
სტაჟირების პროგრამა	1	20	სახელმწიფო აუდიტის სამსახური
სემინარი - „workshop“	1	16	სახელმწიფო აუდიტის სამსახური

აკრედიტირებული პროგრამები

საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა და განხორციელდა საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების აკრედიტებული პროგრამები 242 საჯარო მოხელისთვის, მათ შორის, 73 გადამზადდა – მოხელის მენეჯერული უნარების და 169 – პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის მიმართულებით. აღნიშნული პროგრამების ფარგლებში გადამზადდნენ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლებიც.



აკრედიტებული პროგრამების ფარგლებში, მუდმივად ხორციელდება ტრენინგების მონიტორინგი და მსმენელთა მიერ ტრენინგის შეფასებების ანალიზი. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, განახლდა აკრედიტებული პროგრამების მოდულები, ჰენდაუთები - სამუშაო დოკუმენტები და საგამოცდო ტესტები. დაემატა ახალი ტრენერები. მსმენელთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, ცვლილებები შევიდა ტრენინგის პროცედურებშიც.

სერტიფიცირების კურსი

განახლდა სასერტიფიკაციო პროგრამა და გაიზარდა კურსის მოცულობა - შეიქმნა საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) და შესაბამისობის მოდულები. კურსი ჩატარდა 3-ჯერ. გაზაფხულის, ზაფხულისა და შემოდგომის სესიებს 62 ადამიანი ესწრებოდა. მათგან 16-მა წარმატებით ჩააბარა გამოცდა და მიიღო საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

სტაჟირების პროგრამა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის შეიქმნა ახალი სტაჟირების პროგრამა, რომლითაც საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა გადაამზადა 20 სტაჟიორი.

1.2 პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობა

სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა USAID-ის მხარდაჭერით განახორციელა შემდეგი პროექტები:

საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სასერტიფიკაციო კურსის სახელმძღვანელოს შემუშავება

შეიქმნა საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სასერტიფიკაციო კურსის სახელმძღვანელოს სამუშაო ვერსია. აღნიშნული პროექტი ერთობლივად განხორციელდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ USAID-ის დაფინანსებით. პროექტი დაყოფილი იყო ხუთ ნაწილად, სერტიფიცირების სასწავლო კურსის მოდულების მიხედვით:

- ფინანსური აუდიტი;
- შესაბამისობის აუდიტი;
- ეფექტიანობის აუდიტი;
- საბიუჯეტო კანონმდებლობა;
- საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS).

აღნიშნულ პროექტზე, მოდულების მიხედვით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის 30 თანამშრომელი მუშაობდა. პროექტის ფარგლებში, მომზადდა სამუშაო დოკუმენტაცია, რომელიც კურსის მიმდინარეობის პერიოდში სახელმძღვანელოს

საჯარო სექტორის სერტიფიცირებულ აუდიტორთა მონიტორინგის სისტემის შემუშავება

საჯარო სექტორში სერტიფიცირებულ პირთა შესრულებული აუდიტის ხარისხის კონტროლის მიზნით, საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა USAID-ის დაფინანსებით შეიმუშავა სერტიფიცირებულ აუდიტორთა მონიტორინგის წესი და მონიტორინგის მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგიით განხორციელდება სერტიფიცირებულ აუდიტორთა მიერ გაცემული აუდიტორული დასკვნების შედარება საერთაშორისო კრიტერიუმებთან. აუდიტის თითოეულ ეტაპს მიენიჭება შესაბამისი ქულა, გაიცემა შესაბამისი რეკომენდაციები ან შეუწყდებათ უფლებამოსილება.

სტაჟირების პროგრამა

საჯარო აუდიტის ინსტიტუტისა და USAID-ის სტაჟირების პროგრამის ფარგლებში, შემუშავდა სამუშაო აღწერილობა, გამოცხადდა კონკურსი, შერჩეულ კანდიდატებს ჩაუტარდათ ტესტირება და გასაუბრება. გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, ადმინისტრაციული და სოც. მედიის მიმართულებით ორი სტაჟიორი დაკონტრაქტდა.

გასვლითი სემინარი

2020 წლის 7-8 მარტს კახეთში, USAID-ის დახმარებით დაიგეგმა და განხორციელდა ორდღიანი სემინარი, რომლის მთავარ მიზანს წამოადგენდა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე (IPSAS) დაფუძნებით მომზადებული საბუღალტრო ანგარიშების მეთოდოლოგიის განხილვა. განხილული იყო საქართველოში დანერგილი 24 სტანდარტი და ის გამონაკლისები. სემინარს 16 ადამიანი, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, საჯარო აუდიტის ინსტიტუტის წარმომადგენლები და თემის ექსპერტები ესწრებოდნენ.

სფეროს ტრენინგები

საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების - GIZ-ის მხარდაჭერით განახორციელა პროექტი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლებისთვის, რომლის მიზანია აუდიტის ანგარიშების ხარისხის გაუმჯობესება სხვადასხვა სფეროში აუდიტორების კომპეტენციების განვითარებით. პირველ ეტაპზე შეირჩა ორი სფერო:

1. ჯანდაცვა - ოთხ მოდული:

- ჯანდაცვის პოლიტიკა ეროვნულ და გლობალურ დონეზე;
- დაფინანსების მოდელები და საერთაშორისო პრაქტიკა, ჯანდაცვის ეკონომიკა;
- სამედიცინო ხარისხის მართვა;
- ელექტრონული ჯანდაცვა.

2. განათლება - ორი მოდული:

- დაფინანსების მოდელები და საერთაშორისო პრაქტიკა;
- ეროვნული სასწავლო გეგმების ფორმირება და საერთაშორისო პრაქტიკა.

პროექტში მონაწილეობდა 32 აუდიტორი. მოდულებს უძღვებოდნენ დარგის საუკეთესო ექსპერტები.

მემორანდუმი

საანგარიშო პერიოდში მემორანდუმი გაფორმდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, საჯარო აუდიტის ინსტიტუტსა და ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტს (GAU) შორის. ამჟამად საქართველოს მასშტაბით 26 უნივერსიტეტთან არის მემორანდუმი. ასევე, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საჯარო აუდიტის ინსტიტუტსა და საჯარო სამსახურის ბიუროს შორის.

1.3 სატენდერო კონკურსში მონაწილეობის მიღება

საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა პირველად მიიღო მონაწილეობა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ გამოცხადებულ სატენდერო კონკურსში. ინსტიტუტმა 2 პროექტზე გააკეთა განაცხადი, აქედან გაიმარჯვა პროექტ „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში“. ტენდერის მიზნებიდან გამომდინარე, საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა ხელი შეუწყო საქართველოს 37 მუნიციპალიტეტს, რისკების შეფასების საფუძველზე მოამზადონ სტრატეგია, წლიური გეგმა და განახორციელონ რისკზე დაფუძნებული შიდა აუდიტი საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული განხორციელდა შესაბამისი ტრენინგ კურსების ჩატარების, რეკომენდაციების შემუშავების, სემინარის (workshop) განხორციელებისა და შიდა აუდიტორთა საკონსულტაციო ქსელის დაფუძნების გზით.

1.4 მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა

- შემუშავებული საკომუნიკაციო სტრატეგიის საფუძველზე, საჯარო აუდიტის ინსტიტუტის რებრენდინგის - განახლების ფარგლებში, გამოცხადდა ლოგოს კონკურსი, რომლის შედეგადაც შეირჩა და დამტკიცდა ინსტიტუტის განახლებული ლოგო:

- შემუშავდა საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სასერტიფიკაციო პროგრამის საინფორმაციო ბროშურა.